

მე-6 კლასი

ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 6 სავარჯიშო და 40 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35.

სავარჯიშო 1. არსებითი სახელი და მისი მართლწერა

დავალებები შეეხება არსებითი სახელის რაობას, კატეგორიებსა და მართლწერის თავისებურებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს არსებითი სახელების ამოცნობა და უნდა ფლობდეს ცოდნას მათთან დაკავშირებული მართლწერის ელემენტარული ნორმების შესახებ.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:

რამდენი სულიერი არსებითი სახელია მოცემულ წინადადებაში? „ნიკოლოზმა და ანამ დღეს გაისეირნეს.“

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

სავარჯიშო 2. ბრუნვები

დავალება შეეხება ბრუნვებსა და მის მახასიათებლებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს ბრუნვის ფორმების სწორად ამოცნობა. სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:

რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „მასწავლებელმა მოსწავლეები მუზეუმში წაიყვანა.“?

ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში

სავარჯიშო 3. ზედსართავი და რიცხვითი სახელები

სავარჯიშო მოიცავს რიცხვითი/ზედსართავი სახელების რაობის ამოცნობასა და მათთან დაკავშირებული მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვას. სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:

რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?

ა) ოცდახუთი ბ) ოც დახუთი გ) ოცდა ხუთი

სავარჯიშო 4. ნაცვალსახელი

სავარჯიშო ეხება ნაცვალსახელის მნიშვნელობას, სახეებსა (პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი) და მათთან დაკავშირებულ მართლწერის ელემენტარულ წესებს. სავარჯიშო 15 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 3.

მაგალითი:

ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება არის სწორი?

- ა) რჩევა ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდა.
- ბ) მათგან არც ერთი არ ჩამოსულა დღეს.
- გ) მათ თხოვნა არ გვანტერესებდა.

სავარჯიშო 5. ზმნა და ზმნიზედა

სავარჯიშო მოიცავს დავალებებს ზმნის, ზმნიზედის რაობისა და მათი მახასიათებლების შესახებ.

სავარჯიშო 15 ქულიანია და შედგება 5 საკითხისაგან. შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 3.

მაგალითი:

წინადადებაში რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული: „მან თავდაჯერებულად უპასუხა კითხვას.“

- ა) ზედსართავი სახელი
- ბ) ზმნა
- გ) ზმნა

სავარჯიშო 6. ტექსტის გააზრება

სავარჯიშო ეყრდნობა მარტივი, მცირე ზომის ტექსტის წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს პერსონაჟების შეფასება, მოტივებისა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, სიტყვათა მნიშვნელობის ამოცნობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინფორმაციის სწორად აღქმა.

დავალება 40 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის 4.

ტექსტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 4 ქულიანს.

ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტექსტში დაშვებული შეცდომები ანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები.

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.